
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის,
დადგენილება №41-ის მიხედვით
"შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის"

საექსპერტო დასკვნა




ქალაქი თბილისი, ნაფარეულის ქუჩა №12
579 999 917
f4side@gmail.com

მისამართზე: ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №47 (ს/კ 01.12.20.030.027) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დადგენილებასთან შესაბამისობაზე

საექსპერტო დასკვნა

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე



29 დეკემბერი 2021წ.

შენიშვნები.

1.საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2.საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

4.სახანძრო უსაფრთხოების სისტემები და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სქემები, შემუშავებული და მოწყობილი უნდა იყოს NFPA სტანდარტებისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" გათვალისწინებით.სისტემების მონტაჟი უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ და დასრულების შემდგომ ჩაუტარდეს შემოწმება-ტესტირება.

5.მშენებლობის პროცესში გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ასევე მათი სპეციფიკაციები და მოწყობის ტექნოლოგიები უნდა აკმაყოფილებდეს "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მოთხოვნებს.

6.აღნიშნული საექსპერტო დასკვნის მიზანია, დადგინდეს წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან და მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან. წარმოდგენილ ექსპერტიზაში განხილულია მხოლოდ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენთთან.

პროექტის აღწერა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე) მშენებლობა, ბრძანება №5438420 საფუძველზე, მიმდინარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №47, (ს/კ 01.12.20.030.027)

საპროექტო ნაკვეთის საერთო ფართი 986 კვ.მ-ს შეადგენს.ნაკვეთი ოთხკუთხა ფორმისაა.დასავლეთიდან ნაკვეთს საზოგადოებრივი სივრცე, ცოტნე დადიანის ქუჩა ესაზღვრება, ხოლო დანარჩენ მხარეს რეგისტრირებული, ჯერჯო საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

საპროექტო შენობა ნაგებობა შედგება 1 მიწისქვეშა და 9 მიწისზედა სართულისგან.როგორც აღინიშნა, საპროექტო შენობა მრავალფუნქციურია და მასში გათვალისწინებულია საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე ფუნქციები. ჯერჯოდ წარმოდგენილი გეგმარების შესაბამისად შენობის მიწისქვეშა სართულზე (-2.70 ნიშნულზე) გათვალისწინებულია შემოზღუდული ავტოსადგომ, სახანძრო ავზისა და ტუმბოების ოთახი.შენობის I, მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულია კომერციული (სავაჭრო) ფართი. პროექტით გათვალისწინებული საოფისე ფართები მდებარეობს შენობის I მიწისპირა სართულზე, II სართულზე და ასევე V-IX სართულებზე, ხოლო III და IV სართულებზე მდებარეობს საცხოვრებელი ერთეულები.

შენობის სტრუქტურული ჩარჩო წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის სახით. ჯერჯოდ შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილას, რომელზეც დაყრდნობილია რკინაბეტონის რიგელების, კოლონებისს და სართულშუა ფილებისგან შემდგარი შენობის მზიდი კარკასი.შენობის კონსტრუქციული ტიპი, მისი სიმაღლისა და ფართობებიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა მიხედვით **I-B** ტიპისაა.

საექსპერტო დასკვნის შემადგენლობა.

1.დაჯავებულობის დატვირთვების შეფასება.
2.კონსტრუქციის ტიპების შეფასება.
3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.
4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.
5.გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.
6.მისაწვდომობის შეფასება.
7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
8.სახურავის ანაწყობების შეფასება.
9.ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის გამიჯვნების შეფასება.
10.ხანძრისგან დაცხის სისტემების შეფასება.
11.წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.
12.ლიფტების შეფასება.
13.ავტოსადგომის შეფასება.

1.დაჯავებულობის დატვირთვების შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებული თითოეული ტიპის დაჯავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.დაჯავებულობები არის კლასიფიცირებული წესების მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია შემდეგი ჯგუფები:

1.სასაწყობო ჯგუფი (სწ-2) წარმოდგენილი პროექტით სწ-2 დაჯავებულობის გამოყენება გათვალისწინებული შენობის -1 სართულებზე, (-2.70 ნიშნული) ჯერჯერობით პარკინგებისთვის და ასევე სახანძრო ავზებისა და ტუმბოების ოთახისთვის.წესების მიხედვით აღნიშნული დაჯავებულობა განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომებისთვის, ასევე ელექტრომძრავების და სხვა ტიპის მცირე საფრთხის შემცველი ნივთების შესანახად.წესების მოთხოვნა მიხედვით დაჯავებულოს დატვირთვის ფაქტორი შეადგეს 18.6.

2.სავაჭრო ჯგუფი (სვ) აღნიშნული დაჯავებულობა გათვალისწინებულია შენობის მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) სართულზე სადაც მეოწყობა კომერციული ფართი .წესების მიხედვით სვ დაჯავებულობა მოიცავს შენობებს ან მათ ნაწილებს, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე განთავსებულია ამგვარი საქონელის მარაგი.დაჯავებულოს დატვირთვის ფაქტორი აღნიშნული დაჯავებულობისთვის შეადგეს 2.8.

3.საქმინი ჯგუფი (სქ) აღნიშნული დაჯავებულობა გათვალისწინებულია შენობის I, მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) და II სართულზე (+3.50 ნიშნული) ასევე V სართულიდან (+14.20 ნიშნული) IX სართულის ჩთვლით (+27.20 ნიშნული).პროექტის შესაბამისად აღნინულ ჯგუფში მოქცეულია საოფისე-სამუშაო ოთახები.წესების მიხედვით სქ დაჯავებულობის ჯგუფს განეკუთვნება ფართები, რომლების გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.წესების მოთხოვნა მიხედვით დაჯავებულოს დატვირთვის ფაქტორი შეადგეს 9.3

4.საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) წარმოდგენილი პროექტით აღნიშნული დაჯავებულობა გათვალისწინებულია შენობის III (+7.70 ნიშნული) და IV სართულზე (+10.95 ნიშნული), აღნიშნულ დაჯავებულობაში გაერთიანებულია შენობაში გათვალისწინებული საცხოვრებელი ერთეულები, სადაც გათვალისწინებელია ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეული.წესების შესაბამისად აღნიშნული დაჯავებულობა გამოიყენება მრავალბინიანი სახლების, საოჯახო სასტუმროებისა და მოტელებისთვის.დაჯავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეადგენს 18.6

დაჯავებულობისა და დაჯავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოყენებული დაჯავებულობები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე სწორად არის შერჩეული დაჯავებულობის დატვირთვის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრულია წესების 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

2.კონსტრუქციის ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების ცხრილი 503, საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის მიხედვით (ცხრილი 721.1), შენობაში არსებული დაჯავებულობებისა და შენობის სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია I-B კონსტრუქციის ტიპი. ცხრილი 503-ის შესაბამისად აღნიშნული ტიპის კონსტრუქციისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული 48.8 მ, ხოლო პროექტით შენობის კონსტრუქციული სიმაღლე შეადგენს 36.30 მეტრს,(0.00 ნიშნულს ქვევით 3.40 მ; 0.00 ნიშნულს ზევით 32.9 მ.) ამასთანავე შენობის ყველაზე მაღალი დაჯავებული იატაკი მდებარეობს +27.20 ნიშნულიზე.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები, მათ შორის მზიდი კონსტრუქცია, იატაკისა და სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის შესაბამისად.721 ქვეთავის მიხედვით გამოსაყენებელი მასალის ცეცხლმედეგობის ხარისხი, სპეციფიკაციებიდან გამომდინარე, ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი ელდლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს, ხოლო სახურავის კონსტრუქციისთვის მინიმუმ 1 საათს, რაც შეესაბამება 601 და 602 ცხრილებში I-B კონსტუქციის ტიპისთვის მოთხოვნის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოსაყენებელი მასალების, ასევე დაჯავებულობებისა და სიმაღლის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული კონსტურციული ტიპი, და აღნიშნული აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებული დაჯავებულობებისა და კონსტრუქციული ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი არ ცდება 503-ე ცხრილში განსაზღვრულ ზღვრებს.აღსანიშნავია, რომ შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე (I-B) შენობის სიმაღლე შეზღუდულია 48.8 მეტრით.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობა შედგება 1 მიწისქვეშა და 9 მიწისზედა სართულისგან სართულისგან, რომელთაგან ერთი მდებარეობს მიწის დონის ქვემოთ.როგოც აღინიშნა წინა თავში, შენობის სიმაღლე შეადგენს 36.3 მეტრს, ამასთანავე შენობის ყველაზე მაღალი დაჯავებული იატაკი მდებარეობს +27.20 ნიშნულიზე.შენობაში გათვალისწინებული დაჯავებული იატაკების საერთო ფართი კი შეადგენს 4171.3 კვ.მ-ს. შენობაში გათვალისწინებული დაჯავებულობების ფართების და სართულიანობა განაწილებულია შემდეგი სახით.

სასაწყობე ჯგუფი (სწ-2) სართულიანობა 1 / საერთო ფართი 606.5 მ^2
სავაჭრო ჯგუფი (სვ) სართულიანობა 1 / საერთო ფართი 261.4 მ^2
საქმიანი ჯგუფი (სქ) სართულიანობა 7 / საერთო ფართი 2445.6 მ^2
საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) სართულიანობა 2 / საერთო ფართი 857.8 მ^2

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობების ფართობი განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს მე-5 თავის 503 ცხრილის მოთხოვნებს.როგოც აღინიშნა შენობის კონსტრუქციულ ტიპად არჩეულია I-B, რომლისთვისაც ცხრილი 503-ის შესაბამისად არ არის შეზღუდული შენობის სიმაღლე, სართულიანოდა ან ფართობი.

4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელების და შენობის გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელ სისტემაში შემავალი სამივე ელენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და გასასვლელის კომპონენტების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტის, წესების 1021.2 ქვეთავის 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილების მიხედვით გადამოწმების შემდგომ დადგინდა, რომ შენობის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად 1021.2.4 ქვეთავის შესაბამისად ესაჭიროება მინიმუმ 2 გასასვლელი საშუალება, რაც გათვალისწინებული პროექტში. შენობის მიწისქვეშა სართულზე, სადაც განტავსებულია სწ დაკავებულობა, დამკავებელთა რაოდენობა არ აღემატება 50-ს, ხოლო გასასვლელთან სავალი მანძილი 30 მ.-ზე ნაკლებია.შესაბამისად აღნიშნულ დონეს ესაჭიროება 1 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია, და მოწყობილია გასასვლელი საშუალება გზა-კარი.

როგორც აღინიშნა შენობის I, მიწისპირა სართულზე მდებარეობს 2 სავაჭრო და 1 საოფისე ფართი, სადაც მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 72, რაც წესერბის მოთხოვნათა შესაბამისად მოეთხოვება ორი გასასვლელი საშუალება, რაც პროექტით არის გათვალისიწინელი.მოწყობილია გასასავლელი საშუალება გზა-კარი, რომლებიც გადის უშუალოდ შენობის გარეთ.შენობის მიწისზედა სართულებზე II-IX ჩათვლით ემსახურება ორი გასსვლელი საშუალება გზა-კიბე.403.5.1 ქვეთავის შესაბამისად გზა-კიბეების ერთმანეთისგან 9.0 მეტრზე მეტი მანძილითაა დაშორებული, ხოლო გზა-კიბეებთან მისადგომი გზა-კარები 1015.2.1 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად დაშორებულია სართულის საერთო მაქიმალური დიაგონალური სიგრძის 1/3-ზე მეტად.შენობაში გათვალისიწნებული გზა-კიბეებიდან ერთი უშუალოდ შენობის გარეთ გადის, ხოლო მეორე 1023 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გზა დერეფნის მეშვეობით.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომებისა და გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული კომპონენტები შესრილებულია წესების მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

5.გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების განტარუნარიანობების შეფასება.

შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ.) მინიმუმ 1.1 მეტრი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურობს შორის შეადგენს 1.20 მეტრს.შიგა გასასვლელი გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების 1009.7,1009.8 და 1009.15 ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.გზა-კიბეებში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყონილია 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.კერძოდ 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეთავის მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება ცეცხლმედეგობის 2 საათიანი ხარისხი, რომელიც წარმოდგენილი პროექტით არის უზრუნველყოფილი.წესების 1007 ქვეტავის შესაბამისად, კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია თავშესაფრის ფართობები, რომლებიც თავისმხვრის მოწყობილია 1007.6 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად.

გასასვლელ სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლით.დერეფნის გამტარუნარიანიბის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3.8) გასასვლელ სისტემაში შემავალი ყველა დერეფანი უწყვეტია და გასასვლელი საშუალების აუცილებელი ტევადობა არ მცირდება სავალი გზის გასწვრის.გათვალისწინებული დერეფნები ასევე აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის გამონაკლისს მოთხოვნებს.გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-დერეფნების სიგანე შეადგენს 1.4 მეტრს.

გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-კარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.აღსანიშნავია ისიც, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი უნდა აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.გზა-კარების მინიმალური თავისუფალი სივრცე შეადგენს 0.88 მეტრს

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული გასასვლელი საშუალებების სიგანე და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

6.მისაწვდომობის შეფასება.

წესების 1103.1 ქვეთავის შესაბამისად, დროებითი და მუდმივი შენობა-დანეგობები, ასდგილები და შენობის სივრცეები უნდა იყოს მისაწვდომი შშმ პირთათვის.წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, შენობა სრულად მისაწვდომია და აკმაყოფილებს წესების მე-11 ტავის მოთხოვნებს, კერძოდ:

მისაწვდომი სვლაგეზები უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელამდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე 1104 ქვეტავის შესაბამისად.შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც აკმაყოფილებს წესების 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს.მიწისქვეშა ავტოსადგომზე გათვალისწინებულია შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილების საჭირო რაოდენობა.მისაწვდომი შესასვლელიდან მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მდებარეობს უმოკლეს მისაწვდომ სვლაგეზზე, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის ორი შესასვლელიდან ერთი და ასევე მთავარი შესასვლელი მისაწვდომია. ასევე მისაწვდომია სავაჭრო ფართების შესასვლელები.1104.1 და 1105.1 ქვეთავების შესაბამისად, ვინაიდან მიწისპირა სართულის იატაკის დონე მდებარეობს უშუალოდ მიწის დონეზე, პანდუსები პროექტში გათვალისინებული არ არის.შენობის ყველა სართულს აკავშირებს ერთი ლიფტი, რომლის კაბინის ზომები საშუალებას აძლევს, რომ მასში შშმ პირთა ეტლი და 60 X 2.15 სმ და 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი ზომების მქონე სატაცე განთავსდეს.

პროეტში გათვალისწინებული სვ და სქ დაკავებულობებში, უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტები, რომლებიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, არის მისაწვდომი.

მისაწვდომ ავტოსადგომებზე გათვალისწინებულია 1 ადგილი შშმ პირთათვის, რომელიც აკმაყოფილებს 1106.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა. გეგმებზე ნაჩვენებია მისაწვდომი სვლაგეზები.მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომები და ფიქსირებლი წყალსადენის ელემენტები და ტუალეტები,შესაბამისად წარმოდგენილი შენობა-ნაგებობა აკმაყოფილებს მე-11 თავის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

7.გარე ჯედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე ჯედლების ყველა კომპონენტი,მათ შორის გარე ჯედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და გარე ჯედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.პროექტთან თანდართული ცხრილების მიხედვით, მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მიწის ნაკვეთის უახლოეს წერტილამდე შეადგენს 1 მ-ზე ნაკლებია მეტრს ა-დ და დ-ა ღერძებში, ხოლო მაქსიმალური 9 მეტრზე მეტს (1-ბ და ბ-1 ღერძებში).წესების მოთხოვნების გათვალისწინებით იმ მონაკვეთებში სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი ნაკლებია 9 მეტრზე და მოთხოვნილია ცეცხლმედეგობის ხარისხი გარე არამზიდი ტიხრებისთვის, წარმოდგენილ პროექტში აღნიშნული გათვალისწინებულია.

გარე ჯედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების შესაბამისად და განსაზღვრულია 2 საათით, რაც აკმაყოფილებს წესების 1403.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

გარე ჯედლების ატმოსფერული ზემოქმედებისგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით და წყობით აგებულ ჯედლებს, წესების 1403.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად.ვინაიდან შენობის გარე ჯედლები წარმოადგენენ ბეტონის ბლოკის წყობას, მათი დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისგან სავალდებულო არ არის.რაც შეეხება გარე ჯედლების საფარს, შენობის ფასადი ნაწილობრივ მოპირკეთებულია

გარე ჯედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე ჯედლები და ღიობები აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის და 602 ცხრილის მოთხოვნებს.

8.სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობა-ნაგებობის სახურავის სტრუქტურა და არაძირითადი ნაწილების შეფასება განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით (I-B).აღნიშნული კონსტრუქციის ტიპისთვის, სახურავის ცეცხლმედეგონის ხარისხი განსაზღვრულია მინიმუმ 1 საათი, რაც წარმოდგენილი პროექტით არის გათვალისწინებული და გამოსაყენებლი მასალების მიხედვით, სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1 საათს.სახურავზედა ნაგებობეის ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის 1/3-ს რაც აკმაყოფილებს 1509.2.2 ქვეპუნქტის მოთხოვნებს. სახურავის მთელს პერიმეტრზე მოწყობილია პარაპეტი.

სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს (ცხრილი 1501.1ა).სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 და 1507.4.3(2) ცხრილების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 653 G-90 და ASTM D 3909 სტანდარტების მოთხოვნებს.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავის ანაწყობები სახურავის ბურული და არაძირითადი ნაწილები შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის გამიჯვნების შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობის თითოეული დაჯავებულობა ინდივიდუალურად არის ჯლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად.პროექტში გათვალისწინებული დაჯავებულობები 508.4 ცხრილის შესაბამისად გამიჯნულია ერთმანეთისგან ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გამიჯნავეებით. წარმოდგენილი პროექტით, ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია საცხოვრებელ ერთეულებს შორის ასევე საცხოვრებელ ერთეულებსა და დერეფნებს შორის.ცეცხლმედების ხარისხი შეადგენს 2 საათს.

სახანძრო ტუმბოს ოთახი (-2.70 ნიშნული) 913.2.1 ქვეთავის შესაბამისად, დანარჩენი სივრცეებისგან გამოჯნულია 2 საათიანი ცეცხ;მედეგი ზღუდეებით. აღნიშნული ოთახის ჯარის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 90 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

პროექტით გათვალისწინებული გზა-ჯიბეები შემოსაზღრულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ჯედლებით. ასევე დაჯმატოფილებულია 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ ჯედელში ჩასმულ ღიობებთან დაჯავშვირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეთავის მიხედვით გზა-ჯიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება ცეცხლმედეგობის 2 საათიანი ხარისხი, რომელიც წარმოდგენილი პროექტით არის უზღუნველყოფილი

0.00 ნიშნულზე მდებარე გზა-დერეფანი 1023.3 ქვეთავის შესაბამისად, შენობის დანარცენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ჯედლებით.გზა-დერეფნის ზღუდეებში მდებარე ღიობები დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე ჯარიებით, 716.5 ცხრილის შესაბამისად.

შენობაში არსებული შახტები შემოხღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით, რაც აჯმაყოფილებს 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს. 716.5 ცხრილის თანახმადმ ლიფტის ჯარის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 90 წუთს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით და სრულ შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

10.ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში, შენობის დაჯავებულობების, სიმაღლისა და ფართობების გათვალისწინებით, წესების მოთხოვნის მიხედვით გათვალისწინებულია ხანძრისგან დაცვის შემდეგი სისტემები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოისაშხეფი სისტემით.

პროექთან თანდართულ ცხრილების შესაბამისად დგინდება, რომ წარმოდგენილი პროექტით, შენობაში ასევე გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარებისა (905 თავის შესაბამისად) და სახანძრო სამსაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლბები (912 ქვეთავის შესაბამისად). აღნიშნული სისტემების წყლით მომარაგებისთვის შენობაში გათვალსიწინებულია სახანძრო ტუმბოები და წყლის ავზი.სახანძრო ტუმბოების ოთხაი სხვა ფართებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ხარისხის მქონე თარაზყული ანაწყობებით.

საპროექტო შენობაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ასევე გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები რომელის ააქტიურებს დამჯავებელთა შეტყობინების სისტემას.აღნიშნული სისტემა გათვალისწინებულია სც-2 ჯგუფსთვის 907.2.9.1 ქვეთავების შესაბამისად.

შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები გარდა სც-2 ჯგუფების დაჯავებულობისა, რაც შეესაბამება 906 ქვეთავს.

სახანძრო სამაშველო სამსახურების მიერ გამოსაყენებელი მისაერტებლები განტავსებულია ეზოში, სახანძრო მანქანის მისადგომ ადგილას 912.2.1 ქვეტავის შესაბამისად.აღნიშნული მისაერთებელი უნდა იყოს ადვილად დასანახი და ამოსაცნობი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აჯმაყოფილებდეს წესების 901 ქვეთავის მოთხოვნებს, დაყენებასთან და შემოწმებასთან დაჯავშირებით.

ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული ხანძრისგან დაცვის სისტემები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

შენიშვნა:903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს შესაბამისი NFPA სტანდარტებით, თუმცა 102.3 ქვეთავის შესაძლებელია სხვა სტანდარტის გამოყენებაც.ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი უნდა განხორციელდეს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.აუცილებელია სახანძრო განგაშის სისტემების დაყენების შემდგომ მოხდეს მათი შემოწმება-ტესტირება, შესაბამისი NFPA სტანდარტებით და ზედამხედველობით.სახანძრო სამსაშველო სამსახურების მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განტავსდეს ისე, რომ იყოს ადვილად დასანახი და ამოსაცნობი, და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

11.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაჯავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად.პროექტში გათვალისწინებული თითოეული დაჯავებულობისთვის განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი წესების 1109.2 ქვეთავის მიხედვით.როგორც უკვე აღინიშნა მე-6 თავში, 1109 თავის მოთხოვნების შესაბამისად შენობაში გათვალისწინებულია მისაწვდომი წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები და ტუალეტები.

მიწისქვეშა სართულზე (-2.70 ნიშნული) წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობა 1602.1 ცხრილის შესაბასმისად საჭირო არ არის.

±0.00 ნიშნულეზე მოწყობილია ორი კომერციული სივრცე (სვ), №1 კომერციული სივრცის დაკავებულობა არის 50-ზე მეტი, შესაბამისად გათვალისწინებულია საერთო სარგებლობის ტუალეტი თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით და მისაწვდომი ტუალეტი. რაც შეეხება №2 კომერციულ ფართობს, რომლის დაკავებულობა არის დ.დ 21, მოწყობილია ერთი ტუალეტი თითო ხელსაბნითა და უნიტაზით, ამ კომერციულ ფართობს არ გააჩნია მისაწვდომი ტუალეტი, თუმცა მისაწვდომ ტუალეტამდე მისასვლელი სავალი გზის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს, რაც დასაშვებია 1109.2.1.4 ქვეთავის მიხედვით.

საქმიანი დაკავებულობებია, თითოეულ საოფისე ფართში მოწყობილია თითო ტუალეტი თითო ხელსაბნითა და უნიტაზით. თითოეულ სართულზე არსებული ყველა ფართის დაკავებულობიდან გამომდინარე მათი რაოდენობა გაცილებით მეტია 1602.1 ცხრილში ასახულ აუცილებელ ფიქსირებულ რაოდენობაზე. მისაწვდომი ტუალეტები, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ მოწყობილია სართულის გამოტოვებით და აკმაყოფილებს 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ამ სართულებზე სამომსახურო ნიჟარები მოწყობილია მისაწვდომ ტუალეტებში.

ყველა საცხოვრებელ ბინაში (სც-2) გათვალისწინებულია ყველა ის მოწყობილობა, რაც აუცილებელია და აკმაყოფილებს ცხრილის მოთხოვნებს.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების, წესების მოხედვით საჭირო რაოდენობა.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს წესების 1602 ქვეთავის მოთხოვნებს.

12.ლიფტებისა და მექანიკურად მოძრავი ბილიკების შეფასება .

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 2 ლიფტის მოწყობა რომლებიც როგორც აღინიშნა მე-6 პუნქტში მისაწვდომია და შენობის ყველა დონეს მისაწვდომს ქმნის შშმ პირთათვის.ლიფტის შახტების შემომზღუდავები და სხვა ფართობებისგან გამმიჯნავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 1702.1 ქვეთავის შესაბამისად შეადგენს 2 საათს, ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავი ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ცეცხლმედეგობა შეადგენს 90 წუთს, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.ლიფტის შახტაში მოეწყობა დაწნევის სისტემა, შესაბამისად, წესების მოთხოვნათა შესაბამისად, ლიფტის ფოიე გათვალისწინებულია მხოლოდ მიწისქვეშა სართულზე.

შენობაში გათვალისწინებული ლიფტების ჯაბინა საშუალებას იძლევა მასში განთავსდეს 60 X 2.15 სმ და 13 სმ რადიუსის ჯუთხეებიანი ზომების მქონე სატაცე, რაც აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

შენობაში გათვალისწინებული მეორე ლიფთი რომელიც მხოლოდ ორ სართულს აკავშირებს, 713.14.1 ქვეთავის ტანახმად, არ მოეთხოვება ფოიე და არც საწნევის სისტემა შახტაში.ასევე 1704.1 ქვეთავის მიხედვით არ მოეთხოვება საჰაერო ნახვრეტები.

წარმოდგენილი პროექტით, ლიფთებისთვის არ არის გათვალისწინებული ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით, ვიდაინად ლიფტის შახტაში გათვალისწინებულია დაწნევა.

13.ავტოსადგომის შეფასება

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპრექტო შენობაში , -1 სართულზე გათვისწინებული ავტოსადგომების მოწყობა. დაკავებულობის ჯგუფის მიხედვით აღნიშნული ავტოსადგომები მიეკუთვნება სწ-2 ჯგუფს.დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეადგენს 18.6.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოსადგომი აკმაყოფილებს წესების 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.კერძოდ ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილი ზომები აკმაყოფილებს მინიმალურ ზომებს 2.5X5.5 მ.საავტომობილო გზის სიგანე და მოხვევის რადიუსები ასვეე აკმაყოფილებს წესების 406.9.4.2; 406.9.4.1 და 406.9.4.7 ქვეთავების მოთხოვნებს

როგორც უკვე აღინიშნა მე-6 თავში, ავტოსადგომზე უზრუნველყოფილია მისაწვდომი ავტოსადგომები, რაც აკმაყოფილებს 1106.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

საავტომობილო ჰანდუსის სიგანე არის 3.60 მ, ხოლო საავტომობილო გზების მინიმალური თავისუფალი სიგანე 3.50, რაც მოწყობილია 406.9.4.1 ქვეთავის შესაბამისად.საავტომობილო ჰანდუსის მოხვევის შიგა რადიუსი შეადგენს 4.5 მეტრს, ხოლო საავტომობუილო გზის 3.5 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.ჰანდუსის დახრის პროცენტილობა თავსა და ბოლოში 3.5 მეტრის სიგრძეზე შეადგენს 10%, ხოლო შუაში 18 %-ს, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

წესების მოთხოვნათა შესაბამისად ავტოსადგომის იატაკის ზედაპირი უნდა იყოს ბეტონის ან მისი მსგავსი, არაწვადი მასალის, რომელსაც არ აქვს შეწოვის უნარა.

ავტოსადგომის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია ავტოსადგმო ალმაყოფილებს წესების 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს და შესაბამისობაში შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან.

10.დასკვნა.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანდართული დოკუმენტაციის, ჩატარებული საექსპერტო ანალიზით ერთმნიშვნელოვნად დავადგინე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №47 (ს/კ 01.12.20.030.027) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-ის მიხედვით "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაში ყოფნას.

დაკავებულობების ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვის გამოანგარიშება, და კონსტრუქციის ტიპის განსაზღვრა განხორციელებულია და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელების და შენობისან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე დამაკმაყოფილებელია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

შენობა მისაწვდომია შშპ პირებისთვის და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

გარე ქედლები ცეცხლმედეგობის ხარისხი და სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს "წესების" 602 და 705.8 ცხრილების მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხი გამმიჯნავეების მიმართ განსაზღვრულია "წესების" შესაბამად.

ხანძრისგან დაცვის სისტემები და წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და ავტოსადგომების შეფასება ასევე აკმაყოფილებს " წესების" მოთხოვნებს.

საპროექტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმესახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

29 დეკემბერი 2021 წ.

შესრულებული პროექტები

2017 წ.
- სასტუმროს უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, დასახლება გლდანი,მიკრო/რაიონი 7, კორპუსი №17-ს მოდებარედ.

2018 წ.
- უნივერსიტეტის რეკონსტრუქციის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა სარაჯიშვილი №17.
- სამაცივრე მეურნეობის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა თეოდორე მღვდელი №27
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა შატბერაშვილი №14.
- უნივერსიტეტის რეკონსტრუქციის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, გამზირი დავით გურამიშვილი №76

2019 წ.
- მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, სავაჭრო-კომერციული) უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.ბათუმი, ქუჩა ანგისა №7
-სასწყობის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,ლაზოს ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ.19/082) (01.11.14.019.465)
- სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა. ქ.თბილისი, სოფელი დიღომი "ჩალაპირები"(01.72.14.032.990)
-კოტეჯების ტიპის სასტუმროს უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.რაიონი ოზურგეთი,სოფ.ნატანები (26.01.51.285)
- დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ოდესის ქუჩა №17
-მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი, ქუჩა გამრეკელი № 23გ.
-მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,ქუჩა ჭოველიძე 14/16.

2020 წ.
-რესტორნის (მაკდონალდსი) უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,გზატკეცილი კახეთი, ფეხსაცმლის ქარხანა "ისანი"-ს მიმდებარედ
-სავაჭრო ცენტრის (ისთ პოინტი) უსაფრთხოების პროექტი და უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ექსპერტიზა.ქ.თბილისი,გზატკეცილი კახეთი, ქუჩა თვალჭრელიძე №2

შესრულებული პროექტები

2021 წ.
- სავაჭრო ობიექტის (მაღაზია) (III ჯლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი, გზატკეცილი ჯახეთი, ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ (ს/ჯ 01.19.15.003.063)
-ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის (III ჯლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი,დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/ჯ 01.72.14.007.716)
-ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის (III ჯლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი,სოფელი ჯიჯეთი, 300 არაგველის II ჩიხი №32ა (ს/ჯ 81.01.14.049)
-ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის (III ჯლასი) უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი.ქ.თბილისი,სოფელი წავჯისი (ს/ჯ 81.02.19.792)

Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO
სტუდენტი
STUDENT



სახელი / FIRST NAME
იოსებ
IOSEB
გვარი / LAST NAME
თოხაძე
TOKHADZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	01008028826

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
21.02.1988	18.05.2028

ბარათის No / CARD No
17ID98226

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
18.05.2018
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2017
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE017ID98226801008028826<<<<
8802211M2805184GE0<<<<<<<<<<<3
TOKHADZE<<IOSEB<<<<<<<<<<<<<<

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000106

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2009 წლის 24 ივლისის №

გადაწყვეტილებით იოსებ თოხაძეს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

არქიტექტორის

სპეციალობით.

დეკანი Dean ნ. ამაშუკელი / N. Amashukeli /

რექტორი Rector გ. ბუღაძე / G. Bugadze /

თბილისი TBILISI

12 რიცხვი/ day 01 თვე/ month 2010 წელი/ year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000106

By Decision № 24 July 2009

of the Faculty of Architecture

Ioseb Tokhadze

was awarded the Degree of Bachelor of Architecture

in Architechture

Seal

სარეგისტრაციო № 9216
REGISTRATION


ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 - 086

გადაეცემა

იოსებ თოხაძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ქართული პროექტი შ.პ.ს.

Tbilisi, Kereselidze st. 16/8, Tel: (955 32) 2182848 E-mail: office@geoproject.ge; Web:www.geoproject.ge

„1“ 24 ივლისი 2017 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა იოსებ თოხაძეს (პ/ნ 01008028826) მასზედ, რომ ის მუშაობდა შპს „ქართულ პროექტ“-ში არქიტექტორის თანამდებობაზე 2010-2011 წლებში.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს. „ქართული პროექტი“-ს
დირექტორი: /ნ. ჭურაძე/

შ.პ.ს."არქსტუდიო21" ს/ნ:404980918
L.T.D."ArchStudio21"

ცნობა

ეძლევა იოსებ თოხაძეს პ/ნ:01008028826, საჭიროებისამებრ წარსადგენად, მასზედ რომ იგი, 2013 წლის მარტიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს."არქსტუდიო21"-ში, არქიტექტორის პოზიციაზე.

შ.პ.ს."არქსტუდიო21"-ის
დირექტორი: ი.თოხაძე

24 ივლისი 2017 წ.

შ.პ.ს."არქსტუდიო21" ს/ნ:404980918
მის: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №9, ბინა 67
ტელ: 579999917 / 032 2181801
ელ.-ფოსტა: 21archstudio@gmail.com